საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 1960 2020 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის მიერ გრანტის მიღების შესახებ

შეთანხმების პროექტის მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის N126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში დონაციის თაობაზე".

2. გრანტის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს თურქეთის რესპუბლიკაში, გ. ჯანჯღავას მიენიჭოს უფლებამოსილება, საქართველოს

მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს ,,საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში დონაციის თაობაზე'' შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**